# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №32

ქ. თბილისი 10 აპრილი 2014 წელი

ერთის მხრივ შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვლადიმერ ბურდულის სახით და მეორეს მხრივ შპს "იუბიეს ჯოინთ კომპანი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის იოსებ გიორგაძის, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. წარმომადგენლობითი ხარჯი (სასტუმრო მომსახურეობა).. (კლასიფიკატორის კოდი 99999999).

3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2125 (ორიათას ასოცდახუთი) ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება -- მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. ფასების ცხრილი/მიწოდების ადგილი - დანართი #1.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს მიღება-ჩაბარების აქტის (შესაძლებელია ეტაპობრივი) გაფორმებიდან 14 დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;
--გაწეული მომსახურების მოცულობა;
--გაწეული მომსახურების ღირებულება.

შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს:

ა) შპს „საფეხბურთო კლუბ სიონის" გენერალური დირექტორი ვლადიმერ ბურდული;

ბ) შპს „იუბიეს ჯოინთ კომპანი"-ს დირექტორი იოსებ გიორგაძე.

6. მომსახურების გაწევის ვადა

7.

7.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს 2014 წლის 11 აპრილს და დაასრულებს 2014 წლის 12 აპრილს.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

8.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

9.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 01 ოქტომბამდე.

| | |
|---|---|
| **„შემსყიდველი”** | **„მიმწოდებელი”** |
| შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი” | შპს „იუბიეს ჯოინთ კომპანი“ |
| მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ№99 | მის; ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6ა |
| ს\|კ 225376189 | ს\კ 205291833 |
| ს.ს. პრივატბანკი, თბილისი; | „თი ბი სი ბანკი“ (დიდუბის ფილიალი) |
| ბ/კ CAVOGE22 | ბ/კ TBCBGE22 |
| ა/აGE49TP0036020020008231 | ა\ნ GE35TB1817936050100001 |
| ხელის მოწერა და ბეჭედი | ხელის მოწერა და ბეჭედი |
| ------------------------------ | ------------------------------ |
| ვ. ზურდული | ი. გიორგაძე |